საუკეთესო მასწავლებლები ასწავლიან გულიდან და არა წიგნიდან

მიმოზა ტყებუჩავას აქვს მასწავლებლობის 24 წლიანი გამოცდილება, როგორც კერძო ისე საჯარო სკოლაში მუშაობისა . ის გახლავთ

- განათლების მეცნიერებათა დოქტორი
- მათემატიკის მენტორ- მასწავლებელი
- სსიპ- ქ.თბილისის N89 სკოლის დირექტორი
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტი და
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
- სერტიფიცირებული ტრენერი ზოგადი განათლების მიმართულებით
- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი
- ახალი უმაღლესი სასწავლებელი. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სწავლების ზოგადი მეთოდიკის მიმართულებით

როგორც მასწავლებლის, ყველაზე ძლიერი მხარე არის თავისი გაკვეთილების მორგების უნარი თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე. ის იკვლევს თითოეული მოსწავლის საჭიროებას, ქმნის და იყენებს მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს. ის მუდამ მეგობრულ და კომფორტულ გარემოს უქმნის მოსწავლეებს. ის ინდივიდუალური მიდგომებით ცდილობს ყველა მოსწავლისთვის გასაგები და საინტერესო იყოს მათემატიკა. დაანახოს მისი კავშირი ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან.

მისი მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან მათთვის საინტერესო საკითხებზე კვლევებში. ისინი გეგმავენ, იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა ხერხებს, აგროვებენ მონაცემებს, ახდენენ მათ წარმოდგენას სხვადასხვა დიაგრამის სახით და უკეთებენ ანალიზს. მიღებულ შედეგებსა და ანალიზს წარუდგენენ სასკოლო საზოგადოებას. მან ეს კვლევები და მოსწავლეთა შედეგები ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში ჩატარებულ კონფერენციაზეც გაუზიარა კოლეგებს.

მიმოზა ტყებუჩავას გაკვეთილები ყოველთვის მრავალფეროვანი აქტივობებითა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით გამოირჩევა. ის მუდამ ახლის ძიებაშია, ცდილობს მისი მოსწავლეების საჭიროებების, ინტერესების დადგენას და შესაბამისად არჩევს მეთოდებს და სტრატეგიებს. ის გაკვეთილზე იყენებს საჭირო ინსტრუმენტებს, საგნობრივი სპეციფიკური პროგრამებს (მაგ: Desmos, GeoGebra, Khan Academy, Google sheets). ამ პროგრამების გამოყენება მოსწავლეებს მეტად ინტერესით განაწყობს საგნისადმი.

მიმოზა ტყებუჩავას სადისერტაციო თემა იყო „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები“. მიმოზა ტყებუჩავა ჩართული ზოგადი განათლების რეფორმაში მათემატიკის მიმართულებით. მიმოზა ტყებუჩავას წვლილი აქვს შეტანილი ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მათემატიკის სასკოლო კურსში შეტანისა . ის გახლდათ პირველი ქართული სასკოლო სახელძღვანელოს ავტორი. ეს იყო ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სასკოლო სახელმძღვანელო VII-IX კლასებისთვის. ამ სახელმძღვანელოებით დაიწყო სკოლებში ამ საკითხების სწავლება 2002-2003 წწ. მას აქვს

უამრავი ტრენინგი ამ საკითხების სწავლებაში მასწავლებელბის გადამზადების კუთხით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ჩართული იყო G-Pried- დაწყებითი განათლების პროექტში, როგორც მათემატიკის საფუძვლების სწავლების (1-4 და 5-6 მათემატიკის მასწავლებლებისთვის) მოდულების გადამუშავების ექსპერტი.

მონაწილეობდა მათემატიკის მასწავლებელთა გადამზადების პროცესში და ატარებდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გრძელვადიან ტრენინგებს მათემატიკაში.

აქტიურად იყო ჩართული USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში, როგორც ტრენერი და ქოუჩი.

მიმოზა ტყებუჩავას მუდმივი კავშირი ჰქონდა მასწავლებლებთან პანდემიის პერიოდში. ის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა პანდემიის დროს სხვადასხვა რეგიონის პედაგოგებისადმი. ტრენინგების შემდგომაც თანამშრომლობდა მათთან. მისი დახმარებით არაერთმა პედაგოგმა აიმაღლა სტატუსი.

USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსზე მის მიერ წარდგენილი პედაგოგი გახდა კახეთის რეგიონის დაწყებითი განათლების საუკეთესო მასწავლების ჯილდოს მფლობელი მარეხი დიდებაშვილი

მიმოზა ტყებუჩავა ორიენტირებულია პროფესიულ ზრდაზე. მას გავლილი აქვს ტრენინგები ქართულ და უცხოურ ენებზე. ტრენინგებზე მიღებულ პრაქტიკებს მუდმივად ნერგავს თავის საქმიანობაში.

ის ასევე მუდმივად ეცნობა საერთაშორისო პრაქტიკებს უმაღლესი განათლების კუთხითაც. ის სამუშაო და სასწავლო ვიზიტით ნამყოფია ვენის, ლარნაკას, ბოლონიის, პრაღის, ბერლინის, ლისაბონის უნივერსიტეტებში.

მას ასევე აქვს უცხოეთში ლექციების ჩატარების გამოცდილება. ბუქარესტში, რუმინულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ERASMUS+ პროგრამის პერსონალის მობილობის ფარგლებში ჩაატარა ლექციების კურსი პირისპირ და ონლაინ ფორმატში „ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები“.

მიმოზა ტყებუჩავა არის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი მათემატიკაში, მათ შორის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის სწავლების საკითხებში.მონაწილეობა მიღებული აქვს 20 სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში მომხსენებლის სტატუსით.

მოსწავლეებმა სკოლის თვითმმართველობაში მათემატიკის მოყვარულთა კლუბი ჩამოაყალიბეს. მათემატიკით დაინტერესებული მოსწავლეები ეძებენ ინფორმაციებს მათემატიკის ისტორიის შესახებ, საინტერესო ფაქტებს და მოვლენებს. ისინი მოსწავლეებთან ატარებენ შეხვედრებს, კონფერენციებს, მათემატიკურ საღამოებს და უზიარებენ მათ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმოზა ტყებუჩავა, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი, უტარებს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხით დაინტერესებულ მასწავლებლებსა და

სტუდენტებს. ის ხელმძღვანელობს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების სასკოლო პრაქტიკებს. სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებთან. მუდამ ცდილობს მასწავლებლის პროფესიით დააინტერესოს ისინი. მასწავლებლებმა იციან, რომ ყოველთვის შეუძლიათ მიმართონ მას. თვლის, რომ უნივერსიტეტის მეცნიერები აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ სკოლებთან, რადგან სწორედ სკოლაა მეცნიერების საფუძველი.

მიმოზა ტყებუჩავა გახლავთ შპს-ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

მიმოზა ტყებუჩავა მუდამ ზრუნავს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად ჩატარებული აქვს როგორც სკოლის საჭიროებების, ასევე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები.

მიმოზა ტყებუჩავა წარმმართველი ძალაა სკოლისთვის, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც უკავშირდება სწავლა-სწავლების, კურიკულუმის შემუშავებისა და შეფასების საკითხებს. ყოველთვის ჯგუფის ლიდერი ადა თავის კოლეგებს ხელმძღვანელობს სტანდარტების დანერგვაში, გაზიარებასა და იმპლიმენტაციაში.

ყოველივე ეს მას აძლევს საშუალებას, კოლეგებთან ერთად შექმნას მზრუნველი და აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძებლობა, მიიღოს საუკეთესო განათლება, მიაღწიოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს. ის მუდამ ზრუნავს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე.

მიმოზა ტყებუჩავა დღესაც აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას როგორც მატემატიკის, ისე მათემატიკის სწავლების მეთოდიკის მიმართულებით მშობლიურ უნივერსიტეტში კოლეგებთან ერთად.

მიმოზა ტყებუჩავა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას, ორიენტირებულია სიახლეების ძიებისკენ ამ მიმართულებით. მუდმივად თანამშრომლობს ამ კუთხით კოლეგებთან, ამ მოსწავლეების მშობლებთან და ამ მოსწავლეების სწავლების პროცესში ჩართულ პირებთან.

აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, მართავს შეხვედრებს.